რუსუდან – ანასტასია კალანდაძე

ზღვის მოლოსკი და მოკიმკიმე ვერცხლისფერი თევზი

(ზღაპარი)

(ლიტანები)

თბილისი 2023

რუსუდან-ანასტასია კალანდაძე

ზღვის მოლუსკი და მოციმციმე ვერცხლისფერი თევზი

(ზღაპარი)

თბილისი
2023

პროფ. მ. გოგიბერიძის სახლ-მუზეუმის დირექტორი რუსუდან (ანასტასია) კალანდაძე ფართოდ განათლებული და ენერგიული მოღვაწეა. ის კარგად უძღვება იმ დიდ საქმეს, რაც მას მიენდო და ამავე დროს აქტიურად ეხმაურება დროის მოთხოვნებსაც. ქალბატონი ანასტასია წლების განმავლობაში ნაყოფიერად იღწვის არა მარტო დიდი ფილოსოფოსისა და საზოგადო მოღვაწის, პროფესორ მოსე გოგიბერიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ღრმად შესაცნობად, არამედ სხვა საკითხებზეც. დიდი ხანია დაინტერესებულია თავისი კუთხის როგორც თანამედროვე ცხოვრებით, ისე წარსულითაც.

მრავალი საინტერესო სტატიის ავტორია და სერიოზული ნაშრომების შექმნაზეც წარმატებით მუშაობს. ვფიქრობ, მკითხველი მის შემოქმედებას (პოეზია, სამეცნიერო კვლევები) სიყვარულით მიიღებს.

აკადემიკოსი ივანე კიღურაძე,

მათემატიკოსი

აკადემიკოსი იური სიხარულიძე

ისტორიკოსი

რედაქტორი: ნინო (დოდო) ხანთაძე-იაშვილი

ნაწარმოები შექმნილია 2010 წ.

რეგისტრირებულია საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციის მიერ, 2012 წ.

ISBN: 978-9941-8-5210-7

გამომცემლობა „პარნასი“, 2023 წ.

„სიყვარული მურმანისა აბესალომისაზე ძლიერია, თუმცა მურმანმა სიყვარულის განსახორციელებლად ბოროტი გზა აირჩია“.

აკაკი ბაქრაძე

პატივცემულო მკითხველო!

ეს ზღაპარი გახლავთ ჩემი შემოქმედების - „მთვარიანი ღამის ზღაპრების“ დასასრული.

შექმნილი ურთულესი მდგომარეობიდან გამომდინარე (წასაკითხად წაიღეს და მიითვისეს), იძულებული გავხდი გამომეცა, თუმცა ისიც არ ვიცი, ნაწარმოებს როგორი ბედი ეწია. ხომ არ არის უკვე შეცვლილი სახით, სხვა პირის მიერ გამოქვეყნებული.

რას ვიზამთ, ისევე როგორც ადამიანებს, ნაწარმოებებსაც აქვს თავისი ბედი. ზოგს უმართლებს, ზოგს კი - არა (სხვები ითვისებენ). ჩვენ ხომ სასტიკ სამყაროში ვცხოვრობთ.

უაღრესად პატივს ვცემ ბატონ აკაკი ბაქრაძის ორიგინალურ აზროვნებას, მაგრამ ამ ზღაპარის გაცნობის შემდეგ ცოცხალი რომ ყოფილიყო, ვფიქრობ, ბატონი აკაკი შეცვლიდა ამ საკამათო საკითხის მისეულ კონცეფციას.

პატივისცემით,

ავტორი რუსუდან-ანასტასია კალანდაძე

„არ არსებობს იმაზე დიდი სიყვარული, როცა სულს სწირავ მოყვასისათვის“.

იესო ქრისტეს სიტყვები (მათეს სახარება)

,,სიყვარულზე მუდამ მაღლა დგას სიმართლე“

მამა გაბრიელი

,,სიმართლეზე მაღლა დგას ჭეშმარიტება,
რამეთუ სიყვარული გულია, სიმართლე - გონება,
ხოლო ჭეშმარიტება - გული და გონება.”

რუსუდან ანასტასია კალანდაძე

დასასრული ზღაპრების ციკლისა „მთვარიანი ღამის ზღაპრები“

დაღამდა თუ არა, მთვარემ მხიარულად შეიჭყიტა პატარა ბიჭუნას სარკმელში და კვლავ სიყვარულით მიუალერსა.

-,,საღამო მშვიდობისა ჩემო პატარავ, ამ საღამოსაც ისევ ლამაზი ზღაპრის მოსმენა მოგიწევს კვლავ სიყვარულზე,“ - გაიბადრა მთვარე.

-,,სიყვარულზე?

რატომ მიყვები ხშირად ზღაპრებს სულ სიყვარულზე”? -ცნობისმოყვარეობით იკითხა ბიჭუნამ

,,იმიტომ რომ დღევანდელ სამყაროს ძალზე აკლია სიყვარული“ - ნაღვლიანად წარმოსთქვა მთვარემ - ადამიანებმა, ბევრამა როდი იციან რომ სიყვარულს სწავლაც სჭირდება. სიყვარული მხოლოდ ზეციდან როდი მოდის.

სწორედ ამიტომ მინდა გიამბო ზღაპარი ერთ ძალზე ჭკვიან, გონიერ ზღვის მოლუსკზე, რომელსაც ოკეანის მოციმციმე ულამაზესი ვერცხლისფერი თევზი შეუყვარდა; აი როგორია სინამდვილეში ნამდვილი სიყვარული, ამას სწორედ ამ ზღაპრით გავიგებთ“ - სთქვა მთვარემ და დაიწყო:

,,იყო და არაიყო რა ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი პატარა ზღვის მოლუსკი, რომელიც ცისფერი, თვალუწვდენელი ოკეანის საოცარ, ულამაზეს სამყაროში ცხოვრობდა.

კეთილი და უბრალო ზღვის მოლუსკი ოკეანის სხვა ბინადართაგან დიდი სილამაზით არ გამოირჩეოდა თუმცა დიდი სიბრძნით ნამდვილად იყო დაჯილდოვებული, რასაც საგულდაგულოდ მალავდა და ცდილობდა ამ მხრივ არავითვის ეჩვენებინა თავისი უპირატესობა; რადგან მოლუსკმა ძალიან კარგად იცოდა რომ ამ წუთისოფელში არავის არ ჰყავს იმდენი მტერი რამდენიც სიბრძნეს და სილამაზეს. იგი თავისთვის მშვიდად ცხოვრობდა ოკეანეში და გემრიელად იკვებებოდა იმ წყალ მცენარეებით, რომელსაც ოკეანე მუდამ უხვად აწვდიდა.

მოლუსკი კმაყოფილი იყო თავისი ცხოვრებით, რადგან არავინ სძულდა, არავის ერჩოდა და არც მას აწუხებდნენ. მეგობრობით კი ცისფერი ოკეანის ულამაზეს ყვავილთან - ცისფერ ზღვის შროშანთან მეგობრობდა; მოლუსკს მოსწონდა ყვავილის ცისფერ ფოთლებზე დაწინწკლული პატარ პატარა წითელი ვარსკვლავები და კიდევ უფრო მეტად მოსწონდა და

უყვარდა მეგობრის ნაზი სული... ზღვის შროშანს ოკეანის ყველა ბინადრის გაჭირვება გულთან ახლოს მიჰქონდა და ყველას ისე ეხმარებოდა როგორც შეეძლო...

ჰოდა ასე ლამაზად და აუღელვებლდ მიდიოდა მოლუსკის ცხოვრება, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს მისი სიმშვიდე უეცრად დაირღვა;

ერთხელაც როცა იგი კვლავ ესტუმრა ზღვის შროშანს, მის მახლობლად, იქვე ახლო მცურავ, ოკეანის მოციმციმე ვერცხლისფერ თევზს გადააწყდა...

ზღვის მოლუსკს აქამდე არასოდეს ენახა ასეთი უჩვეულო სილამაზის თევზი... რაღა დასამალია და როგორც კი თვალი შეავლო, იმწუთებიდანვე მოლუსკის სულმა სიმშვიდე დაკარგა; სუნთქვა შეეკრა, გული კინაღამ საგულედან ამოუარდა... საოცარი კვნესა აღმოხდა.

ზღვის მოლუსკი უცბად ნამდვილი სიყვარულის ტყვეობაში აღმოჩნდა.

მოციმციმე თევზმა უმალვე შეამჩნია ზღვის მოლუსკის დაბნეული მზერა და მისგან წამოსული მწველი სიყვარულის ალი;

ეს არც გაჰკვირვებია; იცოდა ძალან ლამაზი, რომ იყო და ერთი შეხედვით ინადირებდა სუყველა არსებას მის ირგვლივ; გამონაკლისი არც ზღვის მოლუსკი აღმოჩნდა. მაგრამ ულამაზესი თევზისათვის ამ ყველაფერს მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. მთელი მისი უბედურება იმასში მდგომარეობდა, რომ მოციმციმე ვერცხლისფერი თევზი უგონოდ შეყვარებული გახლდათ სხვაზე; თუმცა ისიც კარგად ესმოდა რომ განწირული იყო მისი სიყვარული...

ზღვის მოლუსკს ფუჭი იმედი რომ არ გასჩენოდა, მოციმციმე თევზმა თავიდანვე სიმკაცრე გამოიჩინა...

-,,თუ შეგიძლიათ ოდნავ გადაიწიეთ ზღვის შროშანს მინდა გავესაუბრო; თანაც ნუ მიწყენთ ჩემო კარგო, მაგრამ თქვენ მასთან სასაუბროდ საკადრისად ნამდვილად ვერ გამოიყურებით, ძალზე შეუფერებელი სამოსი გმოსავთ“ - უთხრა თევზმა და შროშანთან ახლოს მოცურდა.

ზღვის მოლუსკს კინაღამ გული გაუსკდა ასეთ სიუხეშეზე, მაგრამ გონიერება გამოიჩინა, უხმოდ გასცილდა და არაფერი შეიმჩნია. ცოტა ხანსი კი თავადაც ვერ შეიგრძნო, თუ როგორ დაჰფარა მისი სხეული მარგალიტის თხელმა ფენამ.

როცა შროშანმა და თევზმა ერთმანეთან საუბარით გული იჯერეს და მოციმციმე თევზი თავის გზას გაუდგა, მოლუსკი მეგობართან მიცურდა და თავისი გულისტკივილი გაანდო...

-,,მოციმციმე ვერცხლისფერი თევზი შენზე არანაკლები უბედურია“ -ანუგეშა შროშანმა- ,,იგი უიმედოთაა შეყვარებული და არავინ იცის როგორი ბედი ეწვევა მის სიყვარულს“

ამ ნათქვამმაც ისარივით გაირბინა მოლუსკის გულში და ისევ დაფარა მისი სხეული მარგალიტის უძვირფასესმა ფენამ.

-,,ჰო, მაგრამ არ მესმის შროშანო, როგორ შეიძლება ასეთი მშვენიერი, მანათობელი არსება როგორიც მოციმციმე ვერცხლისფერი თევზია, სიყვარულში ასეთი უბედო იყოს; ის ხომ დანახვისთანავე გულში ჩაგივარდება.“ ნაღველი შეეპარა ხმაში მოლუსკს.

,,-რა მარტივად მსჯელობ სიყვარულზე’’ ---------მოულოდნელად აშრიალდნენ იქვე მყოფი ოკეანის წყალმცენარეები,-,,ეტყობა მართლაც იმიტომ ხარ მარტივი ზღვის მოლუსკი: რა შუაშია სიყვარულში უიღბლობის ჟამს ფიზიკური სილამაზე?!

ნუთუ არ გაგიგია ძველთაძველი სიბრძნე: ---,,ის კი არ არის ლამაზი რომელიც მართლა ლამაზია, არამედ ის, რომელიც მოგეწონება. არ გსმენია ერთი შემთხვევა რომელიც ამასწინად მოხდა ოკიანეში?!

სამეფო ოჯახმა ზღვის ლომი შერისხა იმის გამო რომ კიბორჩხალა შეუყვადა;

რამდენი უჩიჩინეს, ესაუბრეს, ბოლოს ეჩხუბეს კიდეც-----ეს მახინჯი არსება აგრე რამ შეგაყვარაო, მაგრამ ზღვის ლომმა შეღრინა ირგვლივ მყოფთ; -----,,ნეტაი ჩემი თვალებით შეგახედათ რა ლამაზიაო“,---------ბოლოს ცრემლებიც კი ჰღვარა სიყვარულის გამო.

აი ესაა შენი სიყვარული; ჭკვიანს გონებას უბნელებს,ბრმას სინათლეს უბრუნებს და კიდევ ვინ იცის რამდენ რამეს სჩადის და რა ფათერაკს არ შეახვედრებს მიჯნურს სიყვარული.

მოციმციმე თევზის გული კი ერთმა უბრალო, გულღრძო გველთევზამ დაიპყრო...ამ სიყვარულით ძალზე უბედურია იგი. სიამოვნებით დათმობს მთელ თავის დარჩენილილ სიცოცხლის წლეებს , ოღონდაც რამდენიმე დღე მასთან ერთად გაატაროს, მაგრამ...” შრიალებდნენ წყალმცენარეები.

--,,როგორ ვერ აფასებს ზოგიერთი არსება დიდ ნამდვილ სიყვარულს. ნეტავი გველთევზას ადგილას მამყოფა, სიცოცხლეს გავწირავდი ულამაზესი თევზისათვის’’--ატირდა მოლუსკი და კვლავ დაფარა მისი სხეული მარგალიტის თხელმა ფენამ.

--,,ხვალ ამ დროს ისევ მოცურდება მოციმციმე თევზი, შენც მოდი და უფრო ახლოს გაიცანი... ისეთი კეთილშობილი ხარ ჩემო მეგობარო, რომ დარჭმუნებული ვარ, მოციმციმე თევზი მოგცემს საშუალებას , რომ მას დაუმეგობრდე’’-ურჩია შროშანმა.

ზღვის მოლუსკი მოულოდნელად ელოდა გათენებას.

მეორე დღეს, როგორც კი მზე სამხრეთით გადაიხარა მოლუსკი ეწვია მეგობარს და მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც იქ სტუმრად მისული მოციმციმე თევზიც დაინახა.

შროშანმა მოლუსკი მოციმციმე თევზს გააცნო. თევზმა უმალვე შეამჩნია მოლუსკის სხეულზე მარგალიტის თხელთხელი ფენები და ამით უკვე საბოლაოდ დარწმუნდა, რომ მოლუსკი ნამდვილად იყო დიდი სიკეთით გამორჩეული არსება და განსხვავდებოდა ოკეანის სხვა დანარჩენი ბინადრებისაგან.

ახალადგაცნობილები მალე დამეგობრდნენ. მოციმციმე თევზმა მოლუსკს გული გადაუშალა: დაწვრილებით მოუყვა თუ როგორ იტანჯებოდა ცალმხრივი სიყვარულით როდესაც გველთევზამ მიატოვა და სადღაც შორს, შავი ზღვის კლდოვან ნაპრალებში შეიმალა, მაშინ მისთვის მწუხრის ფერებით შეიმოსა მთელი სამყარო.

მოლუსკი სულ უფრო და უფრო მეტი სევდით ივსებოდა: აღარ იცოდა როგორ ენუგეშებინა საბრალო მეგობარი.

ერთის მხრივ მის გულში სიყვარულის ცეცხლი გიზგიზებდა, მეორე მხრივ კი საშინელმა ნაღველმა მოიცვა-მისთვის ძვირფასი არსება ასე რომ იტანჯებოდა.

--,, ნუ დაღონდები ასე მწარედ ჩემო მეგობარო’’-ალერსით მიმართა მოლუსკმა თევზს-,, ასეთი რამ მოვიფიქრე, ხვალ დილითვე, როგორც კი მზე ამოიწვერება აღმოსავლეთიდან და თავის მანათობელ სხივებს ჩაღვრის ოკიანეში, მე მივატოვებ აქაურობას და შენს დასახმარედლად სიბრძნით განთქმულ ზღვის მბრძანებელთან--ხანთან მივცურდები; ვკითხავ რა არის შენი წყლულის მკურნალი წამალი... ვნახოთ , რას გვასწავლის ზღვათა მბრძანებელი,’’-- დააიმედა მოლუსკმა უიღბლო მიჯნური .

მოციმციმე თევზი სიხარულისაგან კიდევ უფრო მეტად აციმციმდა და მთელი არემარე თვალისმომჭრელად გაანათა.

----,,ცოტა არ იყოს არ მესმის, ვერა და ვერ ჩემი გონება გველთევზას ბუნებას, როგორ არ დატყვევდა შენი თვალის მომჭრელი სილამაზითა და სიყვარულის ნიჭით.

არ მესმის როგორ უნდა მიატოვო ისეთი საოცარი არსება როგორიც შენ ხარ და თავი შეაფარო სადღაც შორს ზღვის წყალქვეშა კლდეების ნაპრალებს“ - გამოუტყდა მოლუსკი თევზს.

-,,რა გითხრა ჩემო კეთილო, მე მხოლოდ ის ვიცი, რომ უბედური ვარ და მის გარეშე მთელი სამყარო შავი ბურუსით არის ჩემთვის დაფარული“ - ნაღვლიანად მიუგო მოციმციმე თევზმა.

_ ,,კარგი, კარგი, დამშვიდდი: გწამდეს და გჯეროდეს, რომ ყველაფერი კარგად იქნება: ის, რაც შენია, არასოდეს დაიკარგება, უთუოდ მოვა და თუ არ მოვა, იცოდე არც არასოდეს ყოფილა შენი.

აბა, დროებით გემშვიდობები მეგობარო“ უთხრა მოლუსკმა და ოკეანის ფსკერს მიაშურა.

გათენდა თუ არა, დაპირებისამებრ, ზღვის მოლუსკმა გეზი ცისფერი ოკეანის ბრძანებლის-ხანის სასახლისკენ აიღო;

ბევრი იწვალა გზაში, ბევრ ფათერაკს გადაეყარა, ბევრ მტაცებელს დაუსხლტა ხელიდან და როგორც იქნა დაღლილ-დაქანცული ზღვის ბრძანებელს სასახლეში ეწვია.

ხანმა დიდი პატივით მიიღო, გულდასმით მოუსმინა და შემდეგ საუცხოო სადილითაც გაუმასპინძლდა.

-,,მართალია ზღვის ბრძანებელი ვარ და საჭიროების შემთხვევაში სასტიკი და დაუნდობელიც“ -სთქვა ზღვის ხელმწიფემ, -,,მაგრამ ეს იმს როდი ნიშნავს, რომ გული არ მაქვს, ვხედავ და ვგრძნობ შენს თავგანწირვას, რომ შენი მეგობრის ბედნიერებას შეუწყო ხელი რაც ძალზე დასაფასებელია.

შენს მოქმედებაში სამყაროს სიბრძნე წავიკითხე მოლუსკო! უკვე რამდენი ხანია ვმართავ ზღვათა სამყაროს და ჩემს სიცოცხლეში პირველად ვხედავ შენნაირ მიჯნურს, რომელმაც თავისი სიყვარული გვერდზე გადადო, სიცოცხლე განსაცდელში ჩაიგდო, რათა თავის უძვირფასეს არსებას სხვისი სიყვარულის ზიარებაში დახმარებოდა.

ჩემი მთავარი სათქმელი ამ შემთხვევაში ისაა, რომ ვინც ჩვენ გულს ან არ ან ვერ ხედავს - არ არის ჩვენი სიყვარულის ღირსი; ასე რომ ვერცხლისფერი თევზისთვის ნამდვილად არაა საკადრისი გველთევზა, რადგან გველთევზასთან არსებანი არ იმსახურებენ ასეთ ამაღლებულ სიყვარულს, მაგრამ სამყაროს ბედუკუღმართობა სწორად იმაში მდგომარეობს, რომ სიყვარულის გვირგვინს თავზე უფრო ხშირად უღირსები იდგამენ...

ტყუილად როდი უთქვამს ბრძენს, რომ -,,შეიშრე ცრემლები ჩემო ძვირფასო, რადგან ის ვინც თვალებიდან ცრემლებს გვადენს, არ არის ჩვენი ღირსი, ხოლო ვინც ჩვენი ღირსია - არასოდეს გვადენს ცრემლებს“

ამიტომ მინდა შენი გული გავახარო მოლუსკო; მინდა რომ მოციმციმე თევზმა შეგიყვაროს, შენ ამოგირჩიოს თავისი ცხოვრების თანამგზავრად და არა გულღრძო გველთევზა, ამიტომ შენ დაგეხმარები ... მინდა ერთი საოცარი საჩუქარი მოგიძღვნა -ნამდვილი თილისმა, რომელიც შენ გამარჯვებას მოგიტანს - აი ამით შენ სიყვარულში ბედნიერი იქნები“ - წარმოთქვა ბრძანებელმა და მოლუსკის თვალწინ მოციმციმე თვლები დაყარა.

მოლუსკი განცვიფრდა.

-,,რასაც შენ ახლა უცქერი უბრალო თვლები არ გეგონოს, ეს ზღვის ლომის ცრემლებია - შეყვარებულთა დამხმარე ძალა!

ლომები სიყვარულის გამო იშვიათად სტირიან, განსაკუთრებით ზღვის ლომები... ვინც ამ ცრემლებს თავის სათაყვანებელ არსებას შეაფრქვევს, სასწაული მოხდება.

ცრემლები თავს აყვარებენ უკარება არსებებს, ასე რომ გამარჯვება შენ დაგრჩება მოლუსკო! მანათობელი თევზი მთელი არსებით შეგიყვარებს, შენ, რომელიც ნამდვილად იმსახურებ ამ ულამაზეს სიყვარულს... ისღა დაგრჩენია აიღო ლომის ცრემლები და გზას შინ მშვიდობით გაუდგე.

მიუხედავად თქვენს შორის არსებული ფიზიკური განსხვავებისა, შენ და მოციმციმე თევზი ერთმანეთისთვის ხართ შექმნილი, რადგან ერთნაირი სულიერი ფერები გაქვთ, თქვენ ორივე ერთად უკეთ გააბრწყინებთ სამყაროს.

იბრძოლე სიყვარულისთვის; გახსოვდეს რომ დიდი სიყვარული მუდამ დიდ რისკებთანაა დაკავშირებული'' - წარმოსთქვა ზღვის ბრძანებელმა, მაგრამ მოლუსკი ადგილიდან არ იძვროდა.

მაშინ ძალზე განცვიფრდა ზღვის ხელმწიფე.

-,,როგორ, ნუთუ არ გინდა ის ვინც საკუთარ სისოცხლეს გირძევნია შენი იყოს? აიღე ლომის ცრემლები და გასწიე შენს გზაზე!

ჰო მართლა, კინაღამ დამავიწყდა მეთქვა შენთვის - როგორც კი შენს სათაყვანებელ არსებას მას შეაყრი, რამდენიმე დღით მას თვალები დაუბნელდება, ოღონდ სულ რამდენიმე დღით; ამის შემდეგ მის თვალებს, გონებასა და გულს შენი მშვენიერება გადაეფარება და იგი სამყაროში შენ ყველაზე ძვირფასსა და მშვენიერს დაგინახავს" -დაამთავრა თავისი სათქმელი ზღვათა მბრძანებელმა.

ზღვის მოლუსკი მოულოდნელად აქვითინდა და კვლავ დაჰფარა მისი სხეული მარგალიტების თხელმა ფენამ, რაც ხელმწიფის გამჭრიახ თვალებს როდი გამოეპარა.

-,,არ მესმის მოლუსკო შენი." - სიმკაცრე შეეპარა ხმაში ზღვათა მბრძანებელს.

-,, გთხოვთ გამიგოთ, დიდო მეფეო, თქვენ მართლაც სიკეთითა და სიბრძნით გამორჩეული ბრძანდებით და უღრმესი მადლობის მეტი რა მეთქმის, მაგრამ ჩემი სიყვარულის ზედმიწევნით წვდომა იმას შეუძლია, ვინც ჩემსავით იტანჯება.

მე იმდენად უზომოდ მიყვარს მოციმციმე თევზი, რომ არაფრით არ შევკადრებ ჩუმად შევაფრქვიო ლომის ცრემლები, რათა მაინცდამაინც მე შემიყვაროს; ამასთანავე ვერ გავიმეტებ რომ მან თუნდაც რამოდენიმე დღით დაბრმავდეს და იტანჯოს; რისკის ქვეშ ვერ დავაყენებ მის სიცოცხლეს;(შ.დ.რ. ,,აბესალომ და ეთერი''-დან მურმანის მოქმედება. ავტორი)

ამას ნამდვილად ვერ ავიტან; პირიქით, მთელ ჩემს დარჩენილ სიცოცხლეს ვანაცვალებ, რომ მას თუნდაც რამდენიმე წუთითაც კი გავულამაზო სიცოცხლე და დავუბრუნო მისი სიყვარული, რადგან მართლა მიყვარს, მისი სიხარული ჩემი სიხარულია და მისი ტანჯვა ჩემი წამებაა'! -ამოიკვნესა მოლუსკმა.

ზღვის ხელმწიფე სახტად დარჩა.

-,,იქნებ დამეხმაროთ და უკეთ გამიხსნათ, გონების კარი მბრძანებელო, უფრო ახლოს გამაცნოთ საწუთროს ლაბირინთები;

მინდა გავიგო რად ეწამება მოციმციმე თევზი და რად პასუხობს ასე სასტიკად ყოფილი სატრფო; იგი ნამდვილად არ არის წამების ღირსი და თუ იგი დაიღუპება, მეც მასთან ერთად დავასრულებ სიცოცხლეს, მტკიცედ წარმოსთქვა მოლუსკმა ეს სიტყვები.

-,,რახან აგრეა, გეტყვით სიმართლეს, ოღონდ არ ვიცი რამდენად მზად იქნებით თქვენ ყველანი სიმართლესთან შესახვედრად. სიმართლე ის წმინდა სითხეა, რომელიც თუ შესაფერის ჭურჭელში არ ჩაისხა-მას გახეთქავს; მაშ, იცოდეთ-პირველი სიბრძნე ესაა, -,,უბედურება, რომელსაც ღმერთი უშვებს ჩვენზე, იმ ბედნიერებაზე ბევრად უმჯობესია რომელსაც ჩვენ ვაშენებთ'' ამით იმის თქმა მინდა, რომ თუ უბედურებას გონივრულად მიუდგებით, უბედურება თავად მიგიყვანთ ბედნიერებასთან, რადგან მისი ბოლო მუდამ ბედნიერებით მთავრდება; ისევე როგორც რამდენი ბედნიერი გვგონია ჩვენს ირგვლივ და მათი ბედნიერება უმრავლეს შემთხვევაში უბედურებით მთავრდემა.

მეორე სიბრძნე ესაა; ----,,სიყვარული ბრძოლაა, თუ არ სძლიე, ქალი ისე ვერ შეგიყვარებს.

მესამე სიბრძნესაც გეტყვი--,,სილამაზე ღმერთს ეკუთვნის, რამეთუ მან შექმნა იგი და მასვე უნდა დაუბრუნდეს მშვენიერების სახით''

მოციმციმე თევზი შინაგანად ძლიერია და ის ამას მოახერხებს.რაც შეეხება გველთევზას, რატომ გავიწყდებათ რომ იგი მხოლოდ სანახევროდაა თევზი, დანარჩენითკი გველია-ხორცითა და ბუნებით.სწორედ მაგ გველთევზას დამსახურებაა მოციმციმე თევზი ერთგვარ შურისმაძიებლად რომ გვევლინება თავისი თაყვანისმცემლების მიმართ. გავიხსენოთ თუნდაც ის სიუხეშე, რაც მან პირველად გამოიჩინა შენი ნახვისას.

კიდევ კარგი დროზე რომ მიატოვა თავად გველთევზამ თორემ მოციმციმე თევზისგან იგი თავისნაირ გველთევზას გამოზრდიდა, ისეთი შხამი ჩაუღვარა სულში; ამიტომ არ დაუშვა ღმერთმა მათი ერთად ყოფნა. ბოროტება გადამდებია ისევე როგორც სიკეთე. მითუმეტეს როცა მეორე მიჯნური ბრმადაა შეყვარებული და ყველაფერში ემორჩილება ბოროტ სატრფოს, როცა გამოფხიზლდება, აღარ შერჩებიან მაშინ ერთმანეთს. რა თქმა უნდა თუკი შეძლებს გამოფხიზლებას, აღარ შერჩებიან მაშინ ერთმანეთს, რა კარგად უთქვამთ წინაპართ -,, ხარი ხართან რო დააბა ან ზნეს იცვლის ან ფერსაო"

მოდი, მთლად ნურც გველთევზას გავკიცხავთ, რამეთუ გველთევზეობა დაბადებიდანვე მისი თანდაყოლილი ბუნებაა. დაიხსომე მოლუსკო -,,რომ არ არსებობდეს სამყაროში სიმახინჯე, მაშინ სილამაზეს ფასი აღარასოდეს დაედებოდა, რადგან მაშინ სილამაზე საყოველთაო და აუცილებელი ნორმა გახდებოდა;

ის კი რაც საყოველთაო და აუცილებელია, ლამაზი აღარ არის.“

ახლა გასაგებია თუ არა მოლუსკო რად დამარცხდა სიყვარულში მანათობელი თევზი?

გახსოვდეს რომ ,,სიყვარულზე მუდამ მაღლა დგას სიმართლე.“

სიყვარული მხოლოდ მაშინ მარცხდება როდესაც მას სიმართლე არ გააჩნია.

სიმართლეზე მაღლა დგას ჭეშმარიტება. ყოველი სიყვარული ჭეშმარიტების ხიდან მოწყვეტილი ნაყოფი უნდა იყოს!

ჩვენი სურვილები, ნატვრა, ოცნებები, რომლებიც ხშირად ბედნიერების წყაროდ გვეჩვენება, ხშირად სასიცოცხლო ტოტებს უმტვრევს ჩვენივე სიცოცხლის ხეს.

დრო მოვა და მოციმციმე ვერცხლისფერი თევზი ჭკუით განსჯის მისთავზე დატეხილ უბედურებას - მოვლენილს გველთევზას სიყვარულის სახით და შეიტკბობსძველთაძველ მამაპაპურ სიბრძნეს, -,,თუ სიბნელე არ გინახავს ფასს ვერ დასდებ სინათლესო“

აი ესაა ის, რაც ჰაერივით გჭირდებათ მიჯნურებს!

აკლა კი მინდა მოლუსკო სასწაულმომქმედი ზღვის ლალის თვალით დაგასაჩუქრო, მაგრამ იცოდე რომ მას სულ ერთხელ ექნება სასწაულის ჩადენის საშუალება.

თუ მომაკვდავ არსებას ამ წითელ თვალს გადააყლაპებ, მას უეჭველად იხსნი სიკვდილისაგან; გამომართვი, ვინ იცის რა დროს დაგჭირდება, -სთქვა ზღვათა მბრძანებელმა და მოლუსკი ლალის თვლით დაასაჩუქრა.

დიდი სიყვარულით დაემშვიდობა იგი ბრძენთა ბრძენ ბრძანებელს. მაინც გადაწყვიტა ეცადა ბედი და გველთევზას სწვეოდა.

ბევრი წვალებისა და ვაი-ვაგლახის სემდეგ მოლუსკმა გველთევზას საცხოვრებელს მიაგნო; ვინ იცის რამდენი წყალქვეშა კლდე შემოიარა და ბოლოს შავი ზღვის ყველაზე მაღალი კლდის გრძელ ნაპრალში შეცურდა...

საოცარი იყო მათი შეხვედრა ... ზღვის მოლუსკის მზის სხივებივით მოელვარე თვალებს გველთევზამ ვეღარ გაუძლო და სიჩუმე დაარღვია...

-,,საიდან მოსულხართ და რა გინდათ ჩემგან, რისთვის დამირღვიეთ სულის სიმშვიდე; ხომ ხედავთ ჩემთვის ვარ, სრულიად მარტო და ვცხოვრობ, როგორც მწირი და მიუსაფარი...

გავშორდი ოკეანეს და მის ბინადართ, რათა კლდის ნაპრალებში მეპოვა სულის სიმშვიდე, თუმცა ვგრძნობ, რომ უკვე აქაც არ მასვენებენ“ - დაისისინა გვეთევზამ.

-,,გთხოვთ ასე ცუდად ნუ შეაფასებთ ჩემს თქვენთან მოსვლას, მოვედი იმიტომ რომ გადაგარჩინოთ, მოვედი იმიტომ რომ მინდა ბედნიერი იყოთ, მინდა სილამაზე შემოვიტანო თქვენს მწუხარე, პირქუშ ცხოვრებაში, სადაც ყველაფერი სადაც ყველაფერი მხოლოდ სევდის ფერებითაა შემოსილი“ მშვიდად მიუგო მოლუსკმა და პატივისცემის ნიშნად მდაბლად დაიხარა;

განცვიფრებული უმზერდა შავი გველთევზა დაუპატიჟებელ სტუმარს და ბოლოს მის თვალებში ბოროტი ნაპერწკლები აელვარდნენ;

-არ მესმის თქვენი დაუპატიჟებელო სტუმარო! ვერ გამიგია რა სიკეთეზე მესაუბრებით და რა გინდათ ჩემგან...

რატომ ზომავთ სამყაროს მხოლოდ თქვენი თვალსაწიერიდან... პატარა ასაკის ნამდვილად არ ჩანხართ. უნდა იცოდეთ, რომ ის რაც ერისათვის უბედურებაა, როდია მეორესათვის უბედურება, ან ის რაც ერისთვის ლხინია, შესაძლოა ჭირი იყოს სხვისისთვის!

გიფიქრიათ კი ამაზე? - მრავალმნიშვნელოვნად წარმოსთქვა გველთევზამ და მოლუსკს თავისი გამჭოლი მზერა ესროლა.

-,,მიფიქრია“- დინჯად მიუგო მოლუსკმა-,,მაგრამ არსებობენ ზოგადი ფასეულობანი, ღირებულებანი, რომლებიც ყოველი გონიერისათვის საერთო უნდა იყოს და როცა ასე არ არის მახინჯი სახე წარმოიქმნება; მაგრამ მოდი ამაზე კამათში ისედაც ძვირფას დროს, რომელიც ისედაც ცოტა გვაქვს ნუღა დავხარჯავთ. მე თქვენთან ძალზე მტკივნეულ თემაზე სასაუბროდ გეწვიეთ, სწორედ თქვენზეა დამოკიდებული ცისფერი ოკეანის ბევრი კეთილშობილი არსების სიცოცხლე...

გთხოვთ ყველა ეს უბედურება სწორად აღიქვათ! -უთხრა მოლუსკმა და კვლავ მოწიწებით დაიმდაბლა თავი გველთევზას წინაშე.

მინდა მოკლედ გითხრათ ჩემი სათქმელი, რადგან ძალა აღარ შემწევს გაუმკლავდე მოზღვავებულ უბედურებას! - წარმოსთქვა თუ არა ეს სიტყვები, სიმწრისაგან მოლუსკს თვალთაგან ცრემლები წასკდა.

გველთევზამ უმალვე შეამჩნია, თუ როგორ დაიფარა ზღვის მოლუსკი მარგალიტის ძვირფასი თეთრი ფენით და განცვიფრებული უყურებდა ამ სანახაობას.

-უბედურება კი ისაა,რომ თქვენ მთელი არსებით უყვარხართ მოციმციმე ვერცხლისფერ თევზს, რომელიც მიატოვეთ და იგი ამით უზომოდ იტანჯება. სწორედ ეს ტანჯვა მოუღებს მას ბოლოს. დღითი დღე ილევა და კარგავს ბრწყინვალებას. თუ ასე გაგრძელდა, სულ მალე სამყაროს მოციმციმე ვერცხლისფერი თევზი აღარ ეყოლება.

თუ იგი დაიღუპება, სამყარო სილამაზეს დაკარგავს და მასთან ერთად ბევრი სხვა არსებანიც დაიღუპებიან. ყველაზე დიდი საფრთხე ოკეანის წყალმცენარეებს აქვთ, რადგან სწორედ ისინი ისრუტავენ დიდი რაოდენობით მოციმციმე თევზის უმშვენიერეს სხივებს;

სამწუხაროდ მეც მათ რიცხვში ვარ, რა ვქნა გველთევზავ,არ ვიცი რამდენად გაიგებთ და დაიჯერებთ, მაგრამ მეც ერთ-ერთი იმათგანი ვარ, რომელიც იმ დღესვე მოკვდება მასთან ერთად, რადგან უზომოდ ძლიერია ჩემი სიყვარული მოციმციმე ვერცხლისფერი თევზის მიმართ...

ჩემს სიკვდილს კი ჩემი ოჯახი ნამდვილად ვერ გადაიტანს, დედა უეჭველად დაიღუპება; დედის სიკვდილთან ერთად კი ჩემი პაწია და -ძმებიც დაიხოცებიან. უდედოდ ისინი ნამდვილად ვერ იცოცხლებენ.

ხომ გესმით გველთევზავ, თქვენს სულგრძელობაზე რამდენი სიცოცხლეა დამოკიდებული! მწარედ აქვითინდა ზღვის მოლუსკი, გაოგნებულმა გველთევზამ კი აღარ იცოდა რა ეთქვა.

-,,გემუდარებით, დიდებულო გველთევზავ, დაბრუნდით მასთან, ზურგი შეაქციეთ კლდეთა ნაპრალებს, რა გინდათ აქ, ამ უკაცრიელ ადგილას, მითუმეტეს მაშინ როდესაც ისეთ საოცარ არსებას უყვარხართ, როგორიც ცისფერი ოკეანის მოციმციმე თევზია!

გემუდარებით! გამოიჩინეთ გულმოწყალება, სულგრძელობა და დაბრუნდით მასთან! დაბრუნდით იმ უმშვენიერეს სამყაროში, რომელსაც სიყვარული ჰქვია!“ - არ სცხრებოდა მოლუსკი...

-,,თქვენ არ იცით რა ძნელია მოლუსკო დარჩე მასთან, როდესაც აღარ გიყვარს;

მე მხოლოდ მაშინ ვცხოვრობდი მასთან, როდესაც მეგონა მიყვარდა, როცა ჩემი სული და სხეული მასთან ყოფნით უზომო სიამოვნებას განიცდიდა, მაგრამ მომბეზრდა ეს ყველაფერი; დავიღალე სიყვარულით და გავიქეცი მისგან.

მინდა გაიგო კეთილო არსებავ - ძნელია ზიდო სიყვარული ბოლომდე; თურმე სულიც იღლება სიყვარულით, მით უმეტეს დიდი სიყვარულით; სწორედ ამიტომ გამოვიქეცი მისგან, ვინ იცის იქნებ სხვა დროს ისევ გამახსენდეს, მაშინ კი ნამდვილად დავბრუნდები!“ - წარმოსთქვა გველთევზამ და წყალში მძიმედ დაიკლაკნა.

-,,ჰო, მაგრამ სხვა დრო აღარ დადგება, აღარ იარსებებს!

აკი გითხარი ძვირფასო გველთევზავ, რომ თანდათან იღუპება მოციმციმე თევზი, იგი ძლიერ ავადაა; თქვენდამი სიყვარულით გამოწვეულმა სენმა სიკვდილის პირამდე მიიყვანა; ნათქვამია ,,რამაც მოგკლა, იმან მოარჩინაო.“ ამიტომ ძალიან გთხოვთ, ვიჩქაროთ ჩემო ძვირფასო, მიიღეთ ჩემი კეთილი ელჩობა; გამიგეთ - თუ იგი დაიღუპება - მასთან ერთად ჩემი მზე, ჩემი ოჯახისა და წყალმცენარეების მზენიც ჩაესვენებიან!

უთქვენოდ არსად არ წავალ , ან კი რა აზრი აქვს, თანაც მე რომ მარტოდავბრუნდე, მოციმციმე თევზს დანახვისთანავე გული იქვე გაუსკდება;

თაყვანს გცემთ და გემუდარებით ძვირფასო გველთევზავ, მიატოვეთ ეს ყველაფერი და იცხოვრეთ თქვენს სიყვარულთან ერთად ბედნიერად, სწორედ მასთან - ვისაც ყველაზე მეტად უყვარხართ ამქვეყნად და რომელიც მთელ დანარჩენილ ცხოვრებას მოგიქარგავთ სულის ხალიჩაზე“ - უფრო და უფრო უმატა ქვითინს ზღვის მოლუსკმა.

-,,გაოცებული ვარ, მიკვირს და სადღაც გულიც კი მწყდება, ასეთი თავდადებული მიჯნური როგორ ვერ დაგაფასა და არ შეგიყვარა მოციმციმე თევზმა!“ - გაკვირვებისაგან თვალები გაუფართოვდა გველთევზას.

-,,მერედა ვინ გითხრათ, რომ სათანადოდ არ შემაფასა, მოციმციმე თევზი ღირსეული არსებაა, მაგრამ რა ჰქნას, მას ხომ გულის ორად გაყოფა არ შეუძლია; მისი გული, მთელი მისი არსება თქვენ გეკუთვნით, მხოლოდ თქვენ ერთს!...

არაფრით შემიძლია ვუცქირო უბედურს, და მირჩევნია ვხედავდე ცოცხალსა და ბედნიერს, რომ მეც გავიხარო მასთან ერთად მისი წილი ბედნიერებით; აკი აგიხსენით - ვერ გადავიტან მის სიკვდილს თქო.

ვფიქრობ სწორედ ესაა ჭეშმარიტი სიყვარული და სწორედ ჭეშმარიტი სიყვარული ამაღლებს ყოველ არსებას მიწიდან ზეცამდე!

ახლა როცა ყოველივე დაწვრილებით აგიხსენით, მოდით ძვირფასო გველთევზავ ერთად გავცუროთ და წავიდეთ იქ სადაც ერთმანეთს შერწყმია, სილამაზე და მარადისობა...

სამყაროს შემოქმედმა ეს ყველაფერი სწორედ თქვენ გიბოძათ. რატომღაც თქვენ ამოგარჩიათ ამ ბედნიერი სიყვარულისთვის; მაშ დააფასეთ იგი...

რომელი გონიერი არსება არ ინატრებდა ასეთ საოცარ სიყვარულს, მაგრამ მისი გული მხოლოდ თქვენი ტყვეა, ძვირფასო!"

გველთევზა ღრმად ჩაფიქრდა ... დიდხანს ფიქრობდა... დუმდა ზღვის მოლუსკიც, მან ხომ ისედაც ბევრი უთხრა გველთევზას...

მკვდარი სიჩუმე არხევდა შავი ზღვის ტალღებს...

მოულოდნელად გველთევზა უკან შემოტრიალდა და ზღვის მოლუსკს თვალებით თანხმობა მისცა ...

მოლუსკმა საოცარი მადლიერების გამომხატველი მზერა მიაპყრო გველთევზას და დიდი ხოტმა შეასხა გულმოწყალების გამო...

ერთად გამოცურდენ ორთავენი კლდის ნაპრალებიდან და გასწიეს მოციმციმე ვერცხლისფერ თევზთან შესახვედრად...

ბევრი იცურეს ახლადშეძენილმა მეგობრებმა და როგორც იქნა - ნატანჯი და დაღლილები მშობლიურ სამფლობელოს მოადგნენ;

დიდი ზეიმი გაიმართა წყალქვეშა სამყაროში. ყველა კეთილი სულდგმული ზეიმობდა გველთევზას უკან დაბრუნებას.

მოციმციმე ვერცხლისფერი თევზი ხომ სიხარულისგან აღარ იყო, როცა მოლუსკთან ერთად თავისი სათაყვანებელი არსება დაინახა...

დიდხანს ეფერებოდნენ ერთმანეთს გველთევზა და მოციმციმე თევზი... ეს უკანასკნელი კი ღაპაღუპით ღვრიდა ცრემლებს და მასთან ერთად სტიროდნენ ოკეანის მკვიდრნი... განსაკუთრებით კი ზღვის მოლუსკი, რომელიც სულ უფრო და უფრო იფარებოდა მარგალიტის ფენით... იცოდა მოლუსკმა რომ ამიერიდან უძვირფასესი მოციმციმე თევზი მისი აღარასოდეს გახდებოდა, მაგრამ მერე რა... მთავარი ის იყო, რომ ამიერიდგან თევზი იცოცხლებდა, კვლავ ვარდისფერი ფერებით დაინახავდა სამყაროს და კვლავაც ძველებურად ბედნიერი იქნებოდა.

სიყვარულით ანთებული ზღვის მოლუსკი ფსკერზე დაეშვა და თავის ძველ მეგობარს - ზღვის ცისფერ შროშანს მიაშურა .

საოცრად გაიხარეს ძველმა მეგობრებრებმა ერთმანეთის ხილვით...

ზღვის შროშანმა აღფრთოვანება ვერ დამალა მოლუსკის გმირული საქციელით; -,,იცოდი და დარწმუნებული იყავი იმაში, რომ იგი ვინც გაგიჟებით გიყვარს - არასოდეს არ გახდებოდა შენი და მაინც იბრძოლე მისი ბედნიერებისათვის, დაეხმარე მას სხვა სიყვარულის მოპოვებაში რომელიც მისთვის სამუდამო და დაუვიწყარია, - ასეთი საქციელის ჩადენა არის გმირობა და იგი მხოლოდ რჩეულებს შეუძლიათ" - წამოსთქვა ზღვის შროშანმა - ,,შენნაირები მოლუსკო სწორედ რომ სამყაროს რჩეული მარგალიტები არიან, რადგან ასეთი სიყვარულით და მოქმედებით თვით სამყაროს შემოქმედამდე აღწევენ...

ისინი ბედნიერები არიან, შენ კი გამარჯვებული „ - ვეღარ მალავდა სიხარულსა და განცვიფრებას ზღვის შროშანი - ,,ვამაყობ რომ შენ ჩემი მეგობარი ხარ, გმადლობთ მოლუსკო, რომ მეგობრად მე ამირჩიე" - სიხარულისგან იბადრებოდა იგი...

ამის შემდეგ ცისფერი ოკეანის ბინადართა ცხოვრება კვლავ ჩვეულ კალაპოტში ჩადგა.

ზღვის მოლუსკი ცოცხლობდა და სუნთქავდა მოციმციმე თევზის ბედნიერებით, თუმცა მისი გული კი მაინც მოციმციმე თევზის ტყვეობაში იმყოფებოდა და ცალმხრივი სიყვარულით იტანჯებოდა.

ასე ამგვარად გადიოდა დრო, სანამ ერთმა მოულოდნელმა შემთხვევამ მისი სულის მყუდროება არ დაარღვია;

ერთხელაც ზღვის შროშანმა მასთან სტუმრად მისულ მეგობარს ფრიად სამწუხარო ამბავი დაახვედრა;

-,,ძალიან მიმძიმს ჩემო ძვირფასო მეგობარო იმის თქმა, რაც ახლა უნდა გითხრა, მაგრამ არც უთქმელობა ივარგებს ;

ამ ამბავს დამალვა არ ეგების, ვინ იცის, იქნებ სასწაული მოხდეს და ეშველოს, შენ კი მერე ჩვენზე გული დაგწყდეს - რატომ დამიმალეთო...

საქმე ისაა რომ გველთევზამ და მოციმციმე თევზმა სასტიკად იჩხუბეს... უფრო სწორედ კი გველთევზამ...

მას ძველებურად მობეზრდა თევზთან ცხოვრება და გაქცევა გადაწყვიტა;

მოციმციმე თევზმა გზა გადაუღობა და ვედრება დაუწყო...

სწორედ ამ დროს მოხდა, მოსახდენი... გველთევზამ სასიკვდილოდ დაგესლა მასზედ უზომოდ შეყვარებული არსება...

მოციმციმე ვერცხლისფერი თევზი კვდება... წადი, გაცურდი მასთან, ეგებ რაღაც უშველო შენი თავდადებული სიყვარულით; მჯერა სიყვარულს შხამთან ერთად განმკურნებელი მალამოც რომ აქვს“ - აშრიალდა ზღვის შროშანი

მოლუსკს ელდა ეცა, უკანასკნელი ძალღონე მოიკრიბა, რაც შეიძლებოდა სწრაფად გაცურდა დასახმარებლად.

თავადაც ვეღარ გრძნობდა თუ როგორ იფარებოდა ისევ და ისევ მარგალიტის თხელ-თხელი ფენებით.

მთელი თავგამეტებით მიცურავდა მოლუსკი, რომ სათაყვანებელი არსებისათვის მიესწრო, სწორედ გზაში გაახსენდა ზღვის ბრძანებელი ხანის ნაჩუქარი სასწაულმომქმედი ლალის თვალი.. გაახსენდა და სიხარულისაგან ლამის ბუდიდან გული ამოუარდა...

-,,ვკდები ძვირფასო... რამდენიმე წუთში შენ ჩემს ხმას ვეღარ გაიგებ, მაგრამ მინდა გითხრა, რომ უზომოდ მადლობელი ვარ შენი, სწორედ შენთან შეხვედრამ მასწავლა გამეგო თუ რა არის სინამდვილეში ნამდვილი სიყვარული... თუ როგორი ამაღლებულია სუფთა და ლამაზი...

მწარედ შევცდი თავის დროზე სათანადოდ რომ ვერ დაგაფასე და შენ არ მოგიძღვენი ჩემი გული!

გველთევზამ მაინც თავისი გველური ბუნება გამოამჟღავნა...

ყოველი არსება რომ ხედავდეს და აფასებდეს მისდამი შეწირულ სიყვარულს დამიჯერე მოლუსკო-სამყარო საოცრად ლამაზი გახდებოდა... ბევრად უფრო ლამაზი და მშვენიერი, ,მაგრამ ვაგლახ რომ ვერ ხედავენ ამას, ანდა თუ ხედავენ მაშინ როდესაც სამწუხაროდ არაფრის შეცვლა აღარ შეიძლება...

მეც რა გვიან ჩავწვდი ამ ყოველივეს, სწორედ ახლა, სიკვდილის წინ, როცა ვეღარაფერს შევცლი... ამოიკვნესა მოციმციმე თევზმა...

-,,მერე და ვინ გითხრა, რომ აღარაფრის შეცვლა შეიძლება!

სრულყოფილი სიყვარული მუდამ სძლევს სიკვდილს! სწორედ ამაშია მისი მარადიული ძალა და საიდუმლოება...

აბა ბაგე ჩემს ბაგეს დაადე ჩემო სიყვარულო და ამ ყოველივეში თავად დარწმუნდები!

-,,სულმოუთქმელად წამოიძახა მოლუსკმა და ნაზი ამბორის შემდეგ მოციმციმე თევზს ლალის ქვა ჩააყლაპა.

როგორც კი სასწაულთმომქმედი თვალი თევზის სხეულში მოხდა, სასწაულიც დატრიალდა, იგი მყისვე განიკურნა და ცისფერი ოკეანე კვლავ გაანათა ბუნების ამ მართლაც, საოცარმა, ულამაზესმა არსებამ...

ოკეანის ყველა სულდგმული ზეიმობდა სიყვარულის სიკვდილზე გამარჯვებას.

ულამაზესი ღიმილი დასთამაშებდა ბაგეებზე ზღვის მოლუსკს...

იგი ამჯერადაც კვლავ დაიფარა მარგალიტის თხელი ფენით და უეცრად ისე დამრგვალდა, როგორც პატარა, თეთრი მარგალიტი...

ვეღარ გაუძლო მოლუსკმა მარგალიტის წონას და ნელ-ნელა დაეშვა ოკეანის ფსკერზე...

ოკეანის ყველა ბინადარი გაოცდა, არცერთიმათგანი არ ელოდა ასეთ უჩვეულო სანახაობას...

გაოგნებული მოციმციმე თევზი უკან გაეკიდა ზღვის მოლუსკს, რომელიც სულ მალე ცისფერი ოკეანის უმშვენიერეს თეთრ მარგალიტად გადაიქცეოდა...

--,,შეჩერდი, სად მიდიხარ ჩემო ერთგულო მეგობარო! ძალიან გთხოვ, შეჩერდი! ნუთუ ახლა მტოვებ-როცა სიცოცხლე განმიახლე, სიყვარულის უკვდავი სული შთამბერე, ცხოვრება მასწავლე , ნუთუ ახლა მტოვებ, როცა ყველაზე მეტად მჭირდები:-ატირდა მოციმციმე ვერცხლისფერი თევზი და მოლუსკს მთელი სიყვარულით მიეფარა.

მოლუსკს ძალზე უჭოირდა საუბარი... მაგრამ უკანასკნელი ძალ-ღონე მოიკრიფა...

---,,ვეღარ გავუძელი ამდენ ტკივილებს ჩემო სიყვარულო!

რასაც შენ ახლა უცქერ-ეს მარგალიტის თხელ-თხელი ფენები--სწორედ ის უცხო სხეულებია, რომლებიც ჩემში იჭრებოდნენ და სამუდამოდ რჩებოდნენ ყოველი მტკივნეული განცდების შემდეგ.

მუდამ ვცდილობდი რომ ყოველი მიყენებული ტკივილისათვის მუდამ სიკეთით მეპასუხა...და ბედნიერი ვარ, რომ მწუხარებაცა და სიხარულიც მარგალიტის თხელ-თხელ ფენად ვაქციე და ამით თავად ვიქეცი მარგალიტად, ანუ სწორედ ვიცხოვრე...

ამით მთელ სამყაროს ვასწავლე და ვუჩვენე გზა გადარჩენისა ---თუ როგორ უნდა იცხოვროს გაჭივრებისა თუ ლხინის ჟამს ყოველმა არსებამ.

--შენ კი ერთ რამესა გთხოვ, ნუ დაგწყდება გული თუკი მე ამჯერად ოკეანის ფსკერზე დავიძინებ.

ხომ დარწმუნდი, რომ ნამდვილი სიყვარული იმარჯვებს სიკვდილზე!...""

--,,მერე ...ესაა სიყვარულის ბედნიერი დასასრული, როცა სამუდამოდ მეთხოვები?""---აქვითინდა მოციმციმე თევზი...

--,,ჰო ესაა,''---ნათელი გადაეფინა მოლუსკს ---ნამდვილ სიყვარულს ბედნიერი დასასრული არააქვს, უბრალოდ იმიტომ ,რომ იგი არასოდეს მთავრდება...თუ დასასრული აქვს, მაშინ სიყვარულიც აღარ ყოფილა...

გწამდეს და გჯეროდეს, მოვა დრო და ამ მარგალიტიდან ისევ დავიბადები. და კვლავ შენთან მოვალ: მოვალ და გეტყვი--თუ რა ლამაზია სიცოცხლე და კვლავ ძველებურად როგორ ძლიერად მიყვარხარ!

ისევ მოგიყვები ლამაზ ზღაპრებს სიყვარულზე...

ჩემს გაღვიძებამდე შენ ისევ იციმციმე , გაანათე ზღვის სამყარო მშვენიერებით... შენს სიცოცხლეს დიდი მისია აკისრია,ჰოდა აღასრულე იგი...მერე კი მოდი ჩემთან... მე მუდამ ვიგრძნობ შენს შეხებას, შენი ბაგეების სითბოს, გულის ძგერას...

გჯეროდეს, კვლავ დაიბადება ჩემი სიცოცხლე შენთვის... მარგალიტები ისევ გაიღვიძებენ შენთვისა და სამყაროსათვის... აღარ გემშვიდობები ჩემო სიყვარულო....“ წარმოსთქვა მოლუსკმა და ოკეანის ფსკერზე, მარგალიტის ნიჟარაში მშვიდად მიიძინა.

--ჩემი სათქმელიც სწორედ ესაა ჩემო ბიჭუნავ-- ალერსით გაუღიმა მთვარემ პატარას -- მინდა დაიხსომო და იცოდე,--ზღვის მოლუსკი მართლაც ერთადერთი არსებაა სამყაროში, რომელსაც როდესაც უცხო სხეული მოხვდება ულამაზესად რეაგირებს,--მისი სხეული მარგალიტის თხელ ფენას წარმოქმნის და აი ასე ჩნდება მარგალიტი.

სწორედ მარტივი არსების -- მოლუსკის მაგალითად გვასწავლის სამყაროს შემოქმედი ღმერთი, თუ როგორ უნდა ვიცხოვროთ ტკივილებისა და მწუხარების ჟამს, რათა ჩვენი სიცოცხლით სილამაზე ვაჩუქოთ სამყაროს, ამაში კი უდიდესი სიბრძნეა ჩაქსოვილი--- დაამთავრა მთვარემ თავისი სათქმელი და ძილის წინ კვლავ დაჰფინა ბიჭუნას თავისი ვერცხლისფერი სხივები.